975
1937

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანება

სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატისადმი

1937 წლ. 15 ნოემბერი

№ 584

გაუქმებულ იქნას 1937 წლ. 20 ივნისის № 233 ინსტრუქცია და შემოღებულ იქნეს სამოქმედო 1937 წლ. 15 ნოემბრის № 585 ინსტრუქცია სოფლის შემნახველ სალაროებისათვის სოფლად ფულად გადასახადების და სახელმწიფო დაზღვევის გადასახდელების მიღების წესის შესახებ.

სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარი — **ვ. ჩუბარი**

ინსტრუქცია

სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატისა

3384

1937 წლ. 15 ნოემბერი

№ 585

სოფლის შემსალაროებისათვის სოფლად ფულადი გადასახადების და სახელმწიფო დაზღვევის გადასახდელების მიღების წესის შესახებ

1. სსრკ სახკომსაბჭოს 1937 წლ. 19 ივნისის № 972 დადგენილების თანახმად „სოფლის მოსახლეობისაგან გადასახადის და დაზღვევის გადასახდელების მიღების ორგანიზაციის შესახებ" სოფლის I და II თანრიგის შემსალაროებზე ისევე როგორც რაიფინგანის და სახბანკის სალაროებზე, დაკისრებულია მოვალეობა ფულად გადასახადების და სახელმწიფო დაზღვევის გადასახდელების მიღებისა.

სოფლის შემნახველი სალარო ღებულობს მოსახლეობისაგან შემდეგ გადასახდელებს:

ა) სასოფლო-სამეურნეო გადასახადის;

ბ) საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საჭიროებისათვის გამოსაღებს იმ შემთხვევაში, როდესაც იგი არ იქნება დაკავებული ხელფასის გაცემის დროს;

გ) საშემოსავლო გადასახადის იმ შემთხვევაში, როდესაც იგი არ იქნება დაკავებული ხელფასის გაცემის დროს;

დ) შენობების გადასახადს;

ვ) მიწის რენტას;

ე) სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევას;

ჟ) დამხმარე კომისიების რწმუნებულებისაგან, მათ მიერ შეგროვილი სიცოცხლის კოლექტიურ დაზღვევის შესატანებს;

ზ) სახდაზღვევის აგენტებისაგან მათ მიერ შეგროვილი ნებაყოფლობითი სახის სახელმწიფო დაზღვევის შესატანებს.

სოფლის შემსალაროები ღებულობენ საგადასახადო და დაზღვევის გადასახდელებს მხოლოდ მონაცემ რაიონში მცხოვრებ გადამხდელებისაგან.

2. გადასახადების და დაზღვევის გადასახდელებით მიღებული ფული შედის სოფლის შემსალაროების საერთო ნაღდში. რაიფინგანისათვის შემოსულ საგადასახადო გადასახდელების და რაიონის დაზღვევის ინსპექციისათვის დაზღვევის გადასახდელების დარიცხვას აწარმოებს რაიშემსალარო.

3. სოფლის შემნახველი სალარო არ გასცემს ცალკე მოქალაქეთ გადასახადების და სახდაზღვევის საკითხებზე ცნობებს, მათ შორის ცნობებს შემოსულ თანხების შესახებაც. რაიფინგანები და დაზღვევის ინსპექცია საჭირო ცნობებს ღებულობენ მხოლოდ რაიშემსალაროში.

4. გადასახადების და სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის გადასახდელებს შემნახველი სალარო ცალკე გადამხდელებისაგან ღებულობს მხოლოდ უკანასკნელთა მიერ დაწესებულ ნიმუშით საგადასახადო უწყების წარმოდგენის შემდეგ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: სოფლის შემნახველ სალაროებს შეუძლიანთ მიიღონ ერთი პირისაგან რამდენიმე გადამხდელის საგადასახადო და დაზღვევის გადასახდელები უკეთ თუ არის წარმომადგენელი ამ გადამხდელების საგადასახდელო უწყებები.

საგადასახადო უწყებაში აღნიშნულ თვითეულ გადამხდელის სახელზე გამოიწერება ცალკე ქვითარი.

5. დამხმარე კომისიების რწმუნებულებისაგან სიცოცხლის კოლექტიურ დაზღვევისა და სახდაზღვევის აგენტებისაგან ნებაყოფლობითი დაზღვევის შესატანები შემსალაროს მიერ მიიღება მხოლოდ რწმუნებულთა და აგენტების საგადასახდელო განცხადებით.

საგადასახდელო განცხადებაში აუცილებლად ნაჩვენები უნდა იყოს:

ა) დამხმარე კომისიის რწმუნებულის გვარი და კოლექტივის სრული დასახელება ან სახდაზღვევის აგენტის სახელი, მამის სახელი და გვარი;

ბ) გადასახდელის თანხა და ვადა რომლის მიხედვითაც მიღებულია დაზღვევის გადასახდელების შენატანები: სახდაზღვევის აგენტის მიერ „. . . . . თვიდან . . . . . თვემდე“, დამხმარე კომისიის რწმუნებულების მიერ. „კვარტალის შესატანი 193 წ . . . . . დან . . . . . მდე“. დამხმარე კომისიის რწმუნებულის საგადასახდელო განცხადებას დართული უნდა ჰქონდეს დაზღვეულ პირთა სია, რომელთაგანაც რწმუნებულის მიერ შეგროვილია შემსალაროში შესატანი დაზღვევის გადასახდელები.

შემსალაროს კონტროლიორი ვალდებულია სიით ჯამის თანხა შეადაროს დამხმარე კომისიის რწმუნებულის მიერ საგადასახდელო განცხადებაში აღნიშნულ თანხას.

უკეთუ შემდეგში რაისახდაზღვევის ინსპექციის მიერ აღმოჩენილი იქნება სიაში განსხვავებანი (ცალკე თანხების ჩამოჯამებაში და სხვა), ასეთ განსხვავებებს გამოარკვევს რაისახდაზღვევის ინსპექცია უშუალოდ ამ კოლექტივის დამხმარე კომისიაში.

სახდაზღვევის აგენტის საგადასახდელო განცხადებასთან არავითარი დანართები არ არის დაწესებული; შემოსავლის დღიურს გაცემულ ქვითრების ყუებთან ერთად სახდაზღვევის აგენტი უშუალოდ აბარებს რაიონის დაზღვევის ინსპექტორს.

6. გადასახდელებისა და სახდაზღვევის გადასახდელების მიღებაში გადამხდელებს მიეცემა სსრკ ფინსახკომის მიერ დაწესებულ ნიმუშის ქვითარები.

ქვითრები დაწესებულია ორი ნიმუშისა:

ა) გადასახადებისა და სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის გადასახდელების მიღებისათვის და

ბ) დამხმარე კომისიების რწმუნებულებისა და სახდაზღვევის აგენტებისაგან შესატანების მიღებისათვის. ფულის მიღება ასეთ ქვითრების გაუცემლად აგრეთვე ასეთ ქვითრების ნაცვლად რაიმე სხვა ნიმუშის ქვითრების ან და ხელწერილების გაცემა აუცილებლად აკრძალულია.

7. ქვითრები გამოიწერება ორ ეგზემპლიარად (ქვითარი და მისი ასლი) უსათუოდ სამელნე ფანქრით, გადასაღებ ქაღალდის ქვეშ, ქვითრის ფორმით გათვალისწინებულ ყველა ცნობების ზუსტი და სრული აღნიშვნით. გადასაღებ ქაღალდის გამოუყენებლად ქვითარის გამოწერა აკრძალულია. ქვითარს ხელს აწერენ შემსალაროს კონტროლიორი და მოლარე. ქვითარი აგრეთვე აუცილებლად ხელმოწერილი უნდა იყოს (გადასაღებ ქაღალდის ქვეშ) გადამხდელის მიერ. ქვითარის ორივე ეგზემპლიარზე დაისმება შემსალაროს ბეჭედი.

8. ქვითრებში და ქვითრების ასლებში ამოფხეკა და ჩანაწერების შესწორება აკრძალულია. არასწორად გამოწერილი (შეცდომებით) ქვითარი ჩაითვლება გაუქმებულად და გადაიხაზება. ქვითარს გაუკეთდება კონტროლიორის ხელმოწერით წარწერა „გაფუჭებულია“ და ეს ქვითარი მისი ასლით, რომელიც აგრეთვე გადახაზულ უნდა იქნეს, რჩება დღის ბოლომდე წიგნაკში (არ ამოიხევა).

9. ქვითრების გაცემა სწარმოებს ცალკე საქვითარო წიგნაკებიდან:

ა) საგადასახადო გადასახდელებზე;

ბ) სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის გადასახდელებზე;

გ) დამხმარე კომისიის რწმუნებულების და სახდაზღვევის აგენტების შესატანებზე.

ყოველ საქვითაროში წიგნაკის ყდაზე გაკეთებული უნდა იქნეს წარწერა: „გადასახადების“, „სავალდებულო დაზღვევის“ ან „დამხმარე კომისიების რწმუნებულებისა და „სახდაზღვევის აგენტებისაგან ნებაყოფლობითი დაზღვევისა“.

თვითეულ სახის გადასახდელზე გადამხდელს ეძლევა აუცილებლად ცალკე ქვითარი.

10. რაიშემსალაროები საქვითარო წიგნაკებს ღებულობენ წერილობითი მოთხოვნილებით:

ა) რაიფინგანებისაგან—საგადასახადო და სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის გადასახდელებზე და

ბ) რაისახდაზღვევის ინსპექციისაგან—სახდაზღვევის აგენტებისა და დამხმარე კომისიების რწმუნებულთა შესატანებზე.

შემსალაროები ქვითრების ბლანკებს აღრიცხავენ ფასიან ბლანკებისათვის დაწესებულ აღრიცხვის წესით.

საქვითარო წიგნაკების გადაგზავნას სოფლის შემსალაროებისათვის რაიშემსალარო აწარმოებს სოფლის შემსალაროების წერილობითი მოთხოვნილებებით ფ. № 77 სააღრიცხვო უწყისებთან.

11. სოფლის შემნახველი სალარო გადასახადებისა და სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის გადასახდელების მიღებას აწარმოებს შემდეგი წესით:

ა) გადამხდელის მიერ საგადასახდელო უწყების წარმოდგენისას შემსალაროს კონტროლიორი აწარმოებს გადასახდელების გაანგარიშებას, ე. ი. გამორკვევას ფულის რა ნაწილი შემოიტანება გასული წლის ნარჩენის დაფარვისა-ვის და რა ნაწილი მიმდინარე წლის შენაწერის დაფარვისათვის, შემდეგ გაანგარიშებს საურავს გასული წლის ნარჩენებზე და მიმდინარე წლის შენაწერზე თუ უკანასკნელის გადახდა ხდება დაწესებულ ვადის შემდეგ;

ბ) გადასახდელის გაანგარიშებისას კონტროლიორი უნდა ხელმძღვანელობდეს მით, რომ კანონით გადამხდელის მიერ შემოტანილ თანხებზე დაწესებულია შემდეგი რიგი: 1. გასულ წლის ნარჩენი, 2. ამ ნარჩენზე საურავი, 3. მიმდინარე წლის ვადაგასულ გადასახდელის ნარჩენი, 4. ამ ნარჩენზე საურავი და 5. მიმდინარე წლის მომდევნო გადასახდელი;

გ) საურავის დარიცხვა სწარმოებს საგადასახდელო უწყებაში აღნიშნულ გადასახდელის ვადის მეორე დღიდან გადახდის დღის ჩათვლით.

თვითეულ ვადაგადაცილებულ დღისათვის საურავი გადახდება საგასახდელო უწყებაში აღნიშნულ ოდენობით;

დ) გაანგარიშების შემდეგ, კონტროლიორი გამოსწერს ქვითარს ორ ეგზემპლიარად (გადასაღებ ქაღალდის ქვეშ) ხელს მოაწერინებს (გადასაღებ ქაღალდის ქვეშ) მასზე გადამხდელს, თვითონ მოაწერს ხელს ქვითარს და ასეთის ასლს და დაუსვამს ორივეს შემსალაროს ბეჭედს. საგადასახდელო გადასახდელების უწყებაზე კონტროლიორი აღნიშნავს გადასახდელის მიღების თარიღს და მიღებულ თანხას, უკანასკნელის განაწილებით ნარჩენებზე, შენაწერზე და საურავზე.

სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის საგადახდელო უწყებებზე გადახდა არ აღინიშნება.

მიღებულ თანხას კონტროლიორი ჩაწერს რეესტრში № 1 დანართის ფორმით (იხ. მუხ. მუხ. 12 და 13, რის შემდეგ გამოწერილ ქვითარს ასეთის ასლით და საგადასახდელო უწყებით გადასცემს მოლარეს;

ვ) მოლარე მიღებს რა გადამხდელისაგან ფულს, ხელს მოაწერს ქვითარს და მის ასლს და გასცემს გადამხდელს ქვითარს საგადასახდელო უწყებასთან ერთად.

ქვითარების ასლებს მოლარე ინახავს დღის ბოლომდე ცალ-ცალკე საგადასახადო და დაზღვევის გადასახდელებზე. ასეთივე წესით დაწესებულ ფორმის ქვითარით გაფორმდება დამხმარე კომისიების რწმუნებულთა და სახდაზღვევის აგენტების შესატანები. ფულთან ერთად წარმოდგენილი საგადასახდელო განცხადებანი და მასზე დართული დაზღვეულ პირთა სიები შემომტანს არ დაუბრუნდება, არამედ დაერთვის, როგორც საფუძველი, გამოწერილ ქვითარის ასლს.

12. თვითეული შემსალარო აწარმოებს ორს ცალკე რეესტრებს (იხ. დანართი № 1):

1. ერთი—ყველა საგადასახადო გადასახდელებზე, რომელიც აღნიშნულია (მუხლის „ა“ „ვ“ პუნქტებში ჩაწერისათვის და

2. მეორე—დაზღვევის გადასახდელებში, რომელიც ნაჩვენებია იმავე მუხლის ბ. ბ. „ე“—„ზ“ ჩაწერისათვის.

ამ რეესტრებში გადასახდელების, ჩაწერა სწარმოებს გადასახდელების შემოსვლის რიგის მიხედვით.

13. რეესტრებში ჩაწერა სწარმოებს ერთსადაიმავე დროს ორ ფურცელზე გადასაღებ ქაღალდის ქვეშ.

ჩაწერა სწარმოებს შემდეგი წესით:

ა) 1-ლ სვეტში იწერება რიგის ნომერი;

ბ) მე-2 სვეტში—გვარი, სახელი და მამის სახელი იმ პირისა, რომელისაგანაც მიღებულია გადასახდელის განმარტებით: „გადამხდელი", „სადაზღვევის აგენტი" ანუ „დამხმარე კომისიის რწმუნებული";

გ) მე-3 სვეტში დაისმება საგადასახდელო უწყების ნომერი ანუ საგადასახდელო განცხადების თარიღი;

დ) მე-4 სვეტში აღინიშნება მიღებულ თანხის საერთო ჯამი (ქვითრიდან);

ვ) მე-5 სვეტში ჩაიწერება გაცემულ ქვითარის ნომერი.

14. საოპერაციო დღის დამთავრების შემდეგ კონტროლიორი და მოლარე აწარმოებენ დღის ოპერაციების ურთიერთ შემოწმებას:

ა) მოლარე ჩამოთვლის ქვითრების ასლების რიცხვს და თანხას ცალკე საგადასახადო და ცალკე დაზღვევის გადასახდელებზე და ჩამოთვლის შედეგს აცნობებს კონტროლიორს;

ბ) კონტროლიორი რეესტრებში გამოიყვანს საგადასახადო და დაზღვევის გადასახდელების ჯამებს ცალ-ცალკე და ამ ჯამებს შეუდარებს მოლარესაგან მიღებულ ქვითრების ასლების ჩამოთვლის შედეგებს.

ქვითარების ასლებისა და რეესტრების ჩამოთვლის შორის განსხვავების შემთხვევაში, განსხვავების გამოსწორება უნდა იქნას ქვითარების ასლების რეესტრების ჩანაწერებთან შედარების გზით. ქვითარების ასლებისა და რეესტრების ჯამების თანაბრობის დადასტურების შემდეგ, კონტროლიორი ჩასწერს რეესტრში ჯამებს წარწერით, ხელს მოაწერს რეესტრებს, დაასვამს ასეთებს შემსალაროს ბეჭედს, მიიღებს მოლარისაგან ქვითრების ასლებს, ხელს მოაწერინებს მოლარეს რეესტრებზე, შეადგენს ცალკე საგადასახადო გადასახდელების და ცალკე დაზღვევის გადასახდელების საერთო თანხებზე ფ. № 53 ორდერებს და შეიტანს ასეთებს საერთო საოპერაციო დღიურში (ფ. № 24) 5 სვეტით („ნაღდი", „შემოსავალი", და სხვა").

მე-2 სვეტში („ოპერაციების მოკლე შინაარსი") შემდეგი ტექსტის ჩაწერით „მიღებულია საგადასახადო გადასახდელები № . . . . . რეესტრით" და ცალკე სტრიქონით „მიღებულია დაზღვევის გადასახდელი № . . . . . რეესტრით". ქვითრების დახარჯულ ბლანკების რიცხვი და ნომრები ჩაიწერება ფ. 78 ორდერში;

გ) ქვითრების ასლებს კონტროლიორი, დააბანდეროლებს ცალკე ყველა საგადასახადო გადასახდელებზე და ცალკე დაზღვევის გადასახდელებზე, თვითეულ ბანდეროლზე უნდა გაკეთდეს კონტროლიორის ხელისმოწერით წარწერა შემსალაროს ნომრის, გადასახდელების სახეებისა და თარიღის (გადასახადები ან დაზღვევის გადასახდელები), ქვითრების ასლების რიცხვის და შემოსულ გადასახდელების თანხის აღნიშვნით.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ამ ინსტრუქციის 7, 11 და 14 მუხლებით მე-II თანრიგის შემსალაროების კონტროლიორზე და მოლარეზე დაკისრებულ მთელ მუშაობას, სადაც არ არის შეთავსებით მოლარე, ასრულებს მარტო კონტროლიორი. ამ შემსალაროების მიერ შედგენილ საბუთზე მოლარის ხელის მოწერა გადაიხაზება.

15. ორივე რეესტრების პირველი ეგზემპლიარები (საგადასახადო და დაზღვევის გადასახდელებზე) სათანადო ქვითრის ასლების დართვით გაიგზავნება რაიშემსალაროში დღიურ ანგარიშგების შემადგენლობაში.

სახდაზღვევის აგენტებისაგან და დამხმარე კომისიების რწმუნებულებისაგან გადასახდელების მიღებაში გაცემულ ქვითრების ასლებს დაერთვის აღნიშნულ პირების საგადასახდელო განცხადებანი და დაზღვეულთა სიები. იმავე დროს გაიგზავნება გაფუჭებული ქვითრები ასეთების ასლებთან ერთად (იხ. მუხ. 8). რეესტრის მეორე ეგზემპლიარები რჩება სოფლის შემსალაროში და ჩაიკერება ცალკე საქმეში ნომრების რიგის მიხედვით.

16. რაიშემსალაროს ბუხჰალტერია ჩამოსთვლის და შეადარებს რეესტრების ჯამებს საოპერაციო დღიურის ჩანაწერებს, ჩამოთვლის ქვითრების ასლების თანხებს და შეადარებს ასეთებს რეესტრების ჯამს

აღნიშნულ ჯამების სისწორის დადასტურების შემდეგ, საგადასახადო გადასახდელების ყველა რეესტრების საერთო თანხაზე შესდგება ორ ეგზემპლიარად სახბანკზე დავალება (დანართი № 2) რაიშემსალაროს ანგარიშიდან საგადასახადო გადასახდელების მიღებულ თანხის გადარიცხვის შესახებ.

სახბანკზე დავალებაში აღნიშნულ მიღებულ გადასახდელების განაწილებას სახეებისა და სოფსაბჭოების მიხედვით აწარმოებს რაიფინგანი.

ცალკე დავალება (დანართი № 3) შესდგება აგრეთვე ორ ეგზემპლიარად რაიშემსალაროს ანგარიშიდან დაზღვევის გადასახდელების სახბანკში სახდაზღვევის ანგარიშზე გადარიცხვისათვის.

დავალებათა თანხებზე შესდგება ორდერები ფ. № 55.

17. საგადასახადო გადასახდელებზე რეესტრების ერთ ეგზემპლიარს გაცემულ ქვითრების ასლებისა და გაფუჭებული ქვითრების ასლებით და სახბანკზე დავალებების ორივე ეგზემპლიარის თანდართვით რაიშემსალარო გადაგზავნის რაიფინგანის საგადასახადო ინსპექციაში თანხლებითი წერილით (დანართი № 4).

დაზღვევის გადასახდელებზე რეესტრის ერთ ეგზემპლიარს, გაცემულ ქვითრების ასლებს ყველა დანართებით, გაფუჭებულ ქვითრებს თავისი ასლებით და სახბანკზე დავალების ორივე ეგზემპლიარს რაიშემსალარო გაუგზავნის დაზღვევის ინსპექციას, თანხლებითი წერილით (დანართი № 4). თანხლებითი წერილების ასლები (დანართი № 4) რჩება რაიშემსალაროს ბუჰალტერიაში და დაერთვის ფ. № 55 გადარიცხვის ორდერს.

აღნიშნულ საბუთების გადაგზავნა უნდა ხდებოდეს არა უგვიანეს სოფლის შემსალაროებისაგან ასეთების მიღების მეორე დღისა, განსაკუთრებულ ზონარგაყრილ დასატარებელ რაიფინგანის ბეჭედ დასმულ წიგნით, რომელშიც ჩაიწერება:

ა. გაგზავნის თარიღი,

ბ. რეესტრების ნომრები,

გ. ქვითრების ასლების რიცხვი,

დ. თარიღი, ნომერი და თანხა (წარწერით) სახბანკზე დავალებისა და

ვ. გაფუჭებულ ქვითრების რიცხვი (ასეთების ასლებით).

საბუთების მიღებაში საგადასახადო და დაზღვევის ინსპექციების ბუხჰალტრები ხელს აწერენ დასატარებელ წიგნში, მიღების თარიღის აღნიშვნით.

ბუხჰალტრების ხელისმოწერის ნიმუშები ეცნობება რაიშემსალაროებს.

18. რაიშემსალარო ბალანსით გაატარებს:

ა) მიღებულ გადასახდელების თანხას № 54 ანგარიშის დებეტით და № 40 ანგარიშის კრედიტით;

ბ) სახბანკის მიერ შემსალაროს დავალებით უკანასკნელის ანგარიშიდან გადარიცხულ თანხას № 40 ანგარიშის დებეტით და № 67 ანგარიშის კრედიტით.

19. ჟურნალში № 40 ანგარიშით უნდა გაიხსნის ცალკე პირადი ანგარიში საგადასახადო გადასახდელების და ცალკე პირადი ანგარიში დაზღვევის გადასახდელების ჩასაწერად.

ჟურნალის № 40 ანგარიშით სვეტებში „აღნიშვნისათვის" ჩაიწერება მიღებულ თანხების სახბანკში გადარიცხვის თარიღი.

20. რაიშემსალარომ კვარტალურ ანგარიშგებებთან განმარტებითი ბარათებში უნდა აღინიშნოს ჟურნალის № 40 ანგარიში პირად ანგარიშების მონაცემების საფუძველზე კვარტალის განმავლობაში მიღებულ ცალკე საგადასახადო გადასახდელების და ცალკე დაზღვევის გადასახდელების საერთო თანხები.

სახშემსალაროების და სახკრედიტის სამმართველოები აღნიშნულ ცნობებს შეიტანენ ნაერთ კვარტალურ ანგარიშგებების განმარტებითი ბარათებში.

21. რაიშემსალაროსაგან მიღებულ სახბანკზე დავალებებს (მუხ. მუხ. 16, 17) საგადასახადო და დაზღვევის ინსპექციების ბუხჰალტრები შეამოწმებენ ქვითრების ასლებით და რეესტრებით. თვითეულ ამ დავალების ორივე ეგზემპლიარი დაზღვევისა და საგადასახადო ინსპექციების მიერ გაეგზავნება სახბანკის ფილიალს რაიშემსალაროსაგან, ამ დავალებების მიღების დღეს.

საგადასახადო ინსპექცია სახბანკისათვის დავალებაზე (მის ქვემო ნაწილში) აწარმოებს ქვითრების ასლების საფუძველზე შემოსულ თანხების განაწილებას სოფსაბჭოების და გადასახდელების სახეების მიხედვით.

22. თვითეულ ამ დავალებების თითო ეგზემპლიარს სახბანკი უბრუნებს რაიფინგანს თავისი წარწერით შესრულების შესახებ (დაზღვევის გადასახდელების თაობაზე დავალების ეგზემპლიარს სახბანკი დაურთავს სახდაზღვევის ანგარიშის მორიგ ამონაწერს).

სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისრის

მოადგილე ი. მიროშნიკოვი

დანართი № 1 სსრკ-ის ფინსახკომის 1937 წლის 15 ნოემბრის № 585 ინსტრუქციისა.

. . . . . რაიონი შემნახველი სალარო № . . . . . .

რეესტრი № . . . . .

შემოსული გადასახდელებისა . . . . . .
(საგადასახადო ან დაზღვევის)

193 . . წ. . . . . თვის.

№№ რიგზე	გადამხდელის გვარი, სახელი და მამის სახელი	საგადასახდელო უწყების №	მიღებულია გადასახდელები № (მან., კაპ.)	გაცემული ქვითრის №
1	2	3	4	5

ბ. ა.

კონტროლიორი

მოლარე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი № 2 სსრკ ფინსახკომის 1937 წ.
15 ნოემბრის № 585 ინსტრუქციისა.

. . . . . რაიონის № . . . . . შემსალარო

დავალება № . . . . . .

. . . . . რაიონის სახელმწიფო ბანკის განყოფილებას

გთხოვთ ჩამოწეროთ ჩვენი ანგარიშიდან . . . . . მან. და . . . . კაპ.
(წარწერით)

შემსალაროს მიერ მიღებულ გადასახადებისა . . . . . რაიონის საფინანსო განყოფილების განკარგულებაში.

ბ. ა. | რაიონულ შემნახველ სალაროს გამგე
ძთ. ბუხჰალტერი

„. . „. . . . . 193 . . წ.

რაიონის საფინანსო განყოფილება გთხოვთ ჩარიცხოთ . . . . . მან. სათანადო ბიუჯეტის ანგარიშზე მათთვის დაწესებულ შემოსავლის ანარიცხების პროცენტების რაოდენობით, გამომდინარე ცალკე სოფსაბჭოების ციხედვით შემდეგ საერთო შემოსავლებიდან:

სოფსაბჭოს დასახელება	გადასახდელების დასახელება											
	მან.	კაპ	მან.	კაპ	მან.	კაპ.	მან.	კაპ.	მან.	კაპ	მან.	კაპ
1	2		3		4		5		6		7	
1.												
2.												
3.												
სულ . . .												

ბ. ა. | რაიონის საფინანსო განყოფილების გამგე
საგადასახადო ბუხჰალტერი

დანართი № 3 სსრკ-ის ფინსახკომის 1937 წლის
15 ნოემბრის № 585 ინსტრუქციისა.

. . . . . რაიონის შემნახველი სალარო № . . . . . .

დავალება № . . . . . .

. . . . . რაიონის სახელმწიფო ბანკის განყოფილებას

გთხოვთ ჩვენი ანგარიშიდან ჩამოწეროთ . . . . . მან. და . . . . კაპ. და ჩარიცხოთ . . . . . რაიონის სახდაზღვევის ინსპექციის ანგარიშზე.

ბ. ა. | რაიონის შემნახველ სალაროს გამგე
მთავარი ბუხჰალტერი

დანართი № 4 სსრკ-ის ფინსახკომის 1937 წლის
15 ნოემბრის № 585 ინსტრუქციისა.

. . . . . რაიონის საფინანსო განყოფილებას

საგადასახადო / დაზღვევის ინსპექცია.

რაიონის შემნახველი სალარო № . . . . . გიგზავნით:

1. რეესტრებს საგადასახადო / დაზღვევის გადასახდელებზე №№ . . . . . .
. . . . . მან. და . . . . . კაპ.
2. ქვითრების ასლები (. . . . . ეგზ.) იმავე თანხაზე,
3. სახბანკზე დავალებების ორ ეგზემპლიარს იმავე თანხაზე.
4. გაფუჭებულ ქვითრებს (. . . . . ეგზ.) მათი ასლებით.

ბ. ა | რაიონის შემნახველ სალაროს გამგე
მთავარი ბუხჰალტერი

„. . „. . . . . 193 . . წ.

სტამბა „ზარია ვოსტოკა“. შეკვ. № 4446 მოცულ. 1109. ტირ. 1000